ხელშეკრულება № 1/19

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(ერთ პირთან მოლაპარაკება)

„3 " „დეკემბერი" 2013წ.

სსიპ თბილისის №84 საჯარო სკოლა (მის: წურწუმიას №17 ს/კ 206031667), შემდგომში წოდებული **„შემსყიდველად"**, წარმოდგენილი სკოლის დირექტორი მანანა ბაციკაძის სახით და შპს „ინტელკომ ჯგუფი" ს/კ 202441189 **მისი დირექტორი** ------ ---------- შემდგომში წოდებული **„მიმწოდებლად"**, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია. ვაიფაი როუტერის შეძენა, CPV- კოდი 302 00000,

ხელშეკრულების ღირებულება

1.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **171.40** ლარს.

1.2 მომსახურების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2. მხარეთა უფლებამოსილებები

4.1 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მომსახურეობის გაწევა შესაბამისი სტანდარტების გამოყენებით.

4.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს დეტალური ანგარიში გაწეული მომსახურეობის შესახებ

3. მომსახურების ხარისხი

განხორციელებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში დადგენილ სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

4.2 ინსპექტირებას განახორციელებს სკოლის დირექტორი მანანა ბაციკაძე

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

5.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს სკოლის დირექტორი მანანა ბაციკაძე

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიღებული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება მოახდინოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან **15 (თხუთმეტი) დღის** განმავლობაში.

6.3 თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ შეუსრულებელ საათზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%**-ის ოდენობით.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

7.4 ხელშეკრულების 5.2 ბ და ბ ქვეპუნქტში გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია სრულად დაფაროს 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ღირებულება.

7.5 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9. დავების გადაწყვეტა

9.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

9.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **2 (ორი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

10.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

10.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

12.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

13. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი – შემსყიდველს.

14. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ ქალაქ თბილისის №84 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი სკოლის დირექტორი მანანა ბაციკაძის სახით, მისამართი: წურწუმიას ქ№17 ტელ: 877-14 87 35 საბანკო რეკვიზიტები: "ს/კ206031667 ა/ა GE98LB0121150845844000 ----------მანანა ბაციკაძე	შპს „ინტელკომ ჯგუფი" მისამართი: ქ. თბილისი, ს/კ 202441189 საბანკო რეკვიზიტები: ბ/კოდი: MIBGGE22 ა/ა GE31PC0043600100027548 ----------

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მიღება - ჩაბარების აქტი

თბილისი „4“ „დეკემბერი“ 2013წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ **შპს „ინტელკომ ჯგუფი“** (შემდგომში - მიმწოდებელი), ს/კ 202441189 წარმოდგენილი ირაკლი ნოზაძე სახით და მეორეს მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის №84 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმომადგენელი მისი დირექტორის **მანანა ბაციკაძის** სახით, წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ 2013 წლის 3 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება N1/19-ის თანახმად, მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა, ხოლო შემსყიდველმა შეისყიდა ვაიფაის რუტერი 2 ცალი ღირებულება 171 ლარი და 40 თეთრი

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რასაც ვეთანხმებით და ვადასტურებთ ხელმოწერით:

მიმწოდებელი: შპს „ინტელკომ ჯგუფი“ დირექტორი ირაკლი ნოზაძე	შემსყიდველი: სსიპ - ქ. თბილისის №84 საჯარო სკოლა დირექტორი მანანა ბაციკაძე

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional